



დაფინანსების მიღების შესაძლებლობა
სოციალური მეწარმეობის დაწყებით დაინტერესებული
საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი (EPF) იწვევს სოციალური მეწარმეობის დაწყებით დაინტერესებულ თბილისში მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მონაწილეობა მიიღონ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან თანამშრომლობით ორგანიზებულ კონკურსში - სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად მონაწილეობის მისაღებად. დაინტერესებული ორგანიზაციები უნდა დარეგისტრირდნენ კონკურსის ვებ-გვერდზე www.gosocialenterprise.ge.

რეგისტრაციის გავლისა და სტუდენტური გუნდის მიერ პარტნიორად შერჩევის შემთხვევაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციას ეძლევა შანსი მიიღოს გრანტი ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისაგან და სურვილის შემთხვევაში, დამატებითი დაფინანსება შეღავათიანი სესხის სახით თბილისის მერიის ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში.

კონკურსის მიზანი და პირობები

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარება წარმოადგენს, რაც გულისხმობს სოციალური მიზნების მიღწევას შემოსავლის მომტანი საქმიანობის განხორციელების გზით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალური საწარმო არის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს გამოკვეთილი სოციალური მისია/მიზანი და რომელიც თავისი საქმიანობით მიღებულ შემოსავალს იყენებს თავისი მისიისა თუ სოციალური მიზნების რეალიზაციისათვის.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ერთობლივად ორგანიზებული კონკურსი „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2014 წელს მესამედ იმართება (ინფორმაცია 2012 და 2013 წლების კონკურსების შესახებ აგრეთვე შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.gosocialenterprise.ge).

კონკურსი მიზნად ისახავს ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციასა და სტუდენტების აქტიურ ჩართვას სოციალური მეწარმეობის განვითარების პროცესში. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სტუდენტებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, რაც მთლიანობაში ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების შექმნას წაადგება.

კონკურსში ჩართული უმაღლესი სასწავლებლები

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



- კავკასიის უნივერსიტეტი
- ქართული უნივერსიტეტი

კონკურსის მიმდინარეობა

კონკურსი ორი პარალელური მიმართულებით მიმდინარეობს. პირველი მიმართულება, *არსებული პრობლემის გადაჭრა*, გულისხმობს არსებული სოციალური საწარმოებისათვის კონკრეტული პრობლემური ამოცანების გადაჭრაზე მიმართული პროექტების მომზადებას და შემდგომ, მათი პრაქტიკაში განხორციელებას, ხოლო მეორე მიმართულება - *ახალი სოციალური საწარმო*, სტუდენტების მიერ სოციალური საწარმოს კონცეფციის და შემდგომ, სრული ბიზნეს-პროექტის შემუშავებას იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, რომელსაც სურს ახალი სოციალური საწარმოს დაარსება.

კონკურსის მეორე მიმართულებით დაინტერესებული სტუდენტური გუნდები კონკურსის ვებ-გვერდზე დარეგისტრირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან შეარჩევენ მათთვის საინტერესო პარტნიორ ორგანიზაციებს და მათთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავენ სოციალური საწარმოს ბიზნეს-იდეას და შესაბამის საპროექტო წინადადებას.

შემაჯამებელ ღონისძიებაზე, რომელიც სავარაუდოდ 2015 წლის აპრილში (ზუსტი თარიღი დამატებითი ეცნობება ყველა დაინტერესებულ მხარეს) გაიმართება, კონკურსში მონაწილე თითოეული გუნდი პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით გააკეთებს შემუშავებული პროექტის პრეზენტაციას. დამოუკიდებელი ჟიური შეარჩევს საუკეთესო პროექტს და გამოავლენს გამარჯვებულ გუნდს.

გამარჯვებული გუნდის წევრებს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატები და მთავარი ჯილდო, ხოლო პარტნიორ საზოგადოებრივ ორგანიზაციას მიეცემა საშუალება მიიღოს **15,000** ლარი გრანტის სახით ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისაგან შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ. დაფინანსდება მხოლოდ ერთი პროექტი.

დამატებითი ფინანსური რესურსის სახით შეღავათიანი სესხის შეთავაზება იქნება ერთის მხრივ დამატებითი მოტივაცია ახლადშექმნილი სოციალური საწარმოებისათვის, მეორეს მხრივ იგი ხელს შეუწყობს ბიზნეს მიდგომის განვითარებას და საბოლოო ჯამში ორგანიზაციების მდგრადობის უზრუნველყოფას.

ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობის მიღება?

- ვებ-გვერდზე დარეგისტრირება და შესაბამისად, აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ თბილისში რეგისტრირებულ და მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ვინაიდან პროექტების ერთობლივი შემუშავების პროცესში აუცილებელი იქნება ხშირი შეხვედრები, კონსულტაციები ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს შორის. გარდა ამისა, კიდევ ერთი დამატებითი



არგუმენტი აღნიშნული გადაწყვეტილების სასარგებლოდ გახლავთ ის გარემოება, რომ შეღავათიანი სესხის მიღება შესაძლებელია მხოლოდ თბილისში დარეგისტრირებული ორგანიზაციისათვის, რომელიც პროექტს თბილისში განახორციელებს.

- კონკურსში მონაწილეობის მსურველ ორგანიზაციებს მკვეთრად გამოხატული სოციალური მისია უნდა ჰქონდეთ და **სოციალური მეწარმეობის დაწყება და სამომავლოდ გენერირებული შემოსავლების სოციალური მისიის განსახორციელებლად მიმართვა სურდეთ**;
- ვებ-გვერდზე დარეგისტრირება და შესაბამისად, აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის უფლება **არ აქვთ** იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც უკვე საქმიანობენ როგორც სოციალური საწარმოები (ამ შემთხვევაში არ იგულისხმება სტატუსი) და სურთ არსებული სოციალური საწარმოს გაძლიერება. კონკურსის ორგანიზატორები არიან დაინტერესებულები სოციალური საწარმოს ახალი ბიზნეს-იდეებითა და ახალი წარმატებული, ინოვაციური სოციალური საწარმოების შექმნით;
- გრანტის მიღების შემთხვევაში, ორგანიზაციები უნდა აკმაყოფილებდნენ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის გრანტის მართვის კრიტერიუმებს, უნდა ჰქონდეთ შიდა კონტროლის გამართული მექანიზმი, გამართული საბუღალტრო სისტემა და შესაბამისი კვალიფიციური პერსონალი.

რეგისტრაციის პროცედურა, შემდგომი ნაბიჯები

სოციალური მეწარმეობის დაწყებით დაინტერესებულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომელიც აკმაყოფილებს ზემოხსენებულ მოთხოვნებს უნდა გაიაროს რეგისტრაცია (უნდა შეივსოს შესაბამისი ველები და კითხვარი) კონკურსის ვებ გვერდზე: www.gosocialenterprise.ge არაუგვიანეს მიმდინარე წლის 14 ნოემბრის 17:00 საათისა.

რეგისტრაციის შედეგად, ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია განთავსდება კონკურსის ვებ-გვერდზე.

ამის შემდგომ, კონკურსის მეორე მიმართულებაში მონაწილე ოთხმა სტუდენტურმა გუნდმა უნდა შეარჩიოს მათთვის საინტერესო პარტნიორი საზოგადოებრივი ორგანიზაცია (თითოეული გუნდი შეარჩევს ერთ ორგანიზაციას).

პარტნიორი ორგანიზაციის შერჩევა სრულად არის დამოკიდებული სტუდენტური გუნდის გადაწყვეტილებაზე და შეიძლება განპირობებული იყოს ახალგაზრდების ინტერესით ამა თუ იმ სფეროს მიმართ, რომელშიც მოქმედებს კონკრეტული ორგანიზაცია.

პირველ ეტაპზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციის უკეთ გაცნობის შემდეგ სტუდენტურმა გუნდმა უნდა მოიფიქროს სოციალური საწარმოს იდეა და ამ ბიზნეს-იდეის



მოწონების შემთხვევაში პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან, ერთობლივად უნდა მომზადდეს შესაბამისი ბიზნეს გეგმის კონცეფცია.

დასკვნით ეტაპზე, შიდასაუნივერსიტეტო კონკურსში გამარჯვებული გუნდები, საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, მათ მიერ შემუშავებულ ბიზნეს-გეგმის კონცეფციას ამუშავებენ უფრო დეტალურად და წარმოადგენენ დასრულებულ ბიზნეს პროექტს დეტალური ბიუჯეტით.

შერჩევის პროცესი და კრიტერიუმები

კონკურსის შედეგად საგრანტო დაფინანსებას მიიღებს მხოლოდ ერთი გამარჯვებული პროექტი.

გამარჯვებულ პროექტს გამოავლენს დამოუკიდებელი ჟიური. შეფასების დროს ჟიურის წევრები იხელმძღვანელებენ შემდეგი კრიტერიუმებით:

- სოციალური ბიზნეს-იდეის რეალისტურობა და მდგრადობა;
- პროექტის მიზნები და ამოცანები;
- ორგანიზაციის შესაბამისი გამოცდილება და უნარი პროექტის განსახორციელებლად;
- ორგანიზაციის მზაობა იმოქმედოს როგორც სოციალურმა საწარმომ;
- სოციალური და ბიზნეს იდეების შესაბამისობა;
- პროექტის ბენეფიციარები;
- წარმოდგენილი ღონისძიებები და შესაბამისი ბიზნეს-გეგმა;
- წარმოდგენილი ბიუჯეტის შესაბამისობა ღონისძიებებთან და მისი ხარჯთ-ეფექტიანობა.

საგრანტო თანხა

კონკურსის შედეგად შეირჩევა ერთი გამარჯვებული საპროექტო განაცხადი. **საბოლოო გადაყვეტილებას პროექტის დაფინანსების თაობაზე იღებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ.** პროექტის საგრანტო თანხის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15,000 ლარს.

საგრანტო თანხა შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ პროექტის განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებული საქმიანობების დასაფინანსებლად. საგრანტო თანხა არ შეიძლება გამოყენებული იყოს ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯების ან ვალების დასაფარად, სამშენებლო მიზნებისთვის ან უძრავი ქონების შესასყიდად.

დამატებითი ფინანსური რესურსი

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტურ გუნდსა და პარტნიორ საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის მიღწეულ იქნება შეთანხმება, რომ კონკრეტული სოციალური საწარმოს იდეის განხორციელებას სჭირდება უფრო მეტი სახსრები, რასაც ითვალისწინებს



საგრანტო კომპონენტი, პროექტის მომზადებისას შესაძლოა მოთხოვნილ იქნას დამატებითი რესურსი შეღავათიანი სესხის (საპროცენტო განაკვეთი - 6%) სახით.

აღნიშნული სესხი შესაძლოა გაიცეს ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამიდან (სრულყოფილი ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://tbilisi.gov.ge>) შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ.

კონკურსის განრიგი

კონკურსის გამოცხადება:	28 ოქტომბერი, 2014 წელი
საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვებ-გვერდზე რეგისტრაციის ბოლო ვადა:	14 ნოემბერი, 2014 წელი, 18:00 საათი
სტუდენტების მიერ პარტნიორი ორგანიზაციის შერჩევის ბოლო ვადა:	27 ნოემბერი, 2014 წელი, 18:00 საათი
შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის ფარგლებში გუნდების მიერ შემუშავებული კონცეფციის მომზადება:	თითოელ გუნდს კონცეფციის მოსამზადებლად 2 კვირა ექნება და ზუსტი ვადები გუნდებს დამატებით ეცნობებათ.
შემუშავებული კონცეფციის პრეზენტაცია:	2014 წლის დეკემბერი (სხვადასხვა უნივერსიტეტებში პრეზენტაციები სხვადასხვა დროს გაიმართება და ზუსტი თარიღები დამატებით გახდება ცნობილი)
სოციალური საწარმოს საბოლოო ბიზნეს-პროექტის წარმოდგენა	2015 წლის აპრილი

საკონტაქტო ინფორმაცია

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მისამართია ქ. თბილისი, 0179, კავსადის ქ.#3
ტელ/ფაქსი: (995 32) 225-39-42/43.

საკონტაქტო პირები არიან პროგრამის უფროსი მენეჯერი **ვიქტორ ბარამია** (vbaramia@epfound.ge) და პროგრამის კოორდინატორი **ნინო სუთიძე** (nsutidze@epfound.ge)

ევრაზიის თანამშრომლობის ვებ-გვერდი: www.epfound.ge

კონკურსის ვებ-გვერდი: www.gosocialenterprise.ge

Facebook: gosocialenterprise